

---

## მონაცემთა მეცნიერების კონკურსი

---

თქვენ საშუალება გეძლევათ მიიღოთ მონაწილეობა მონაცემთა მეცნიერების კონკურსში და გაიაროთ ანაზღაურებადი სტაჟირება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

მონაცემები საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებების ქვაკუთხედიანია. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშეწყობა. ამ ამოცანის მისაღწევად ჩვენ ვახორციელებთ ფინანსური სექტორის ზედამხედველობას, ვაგროვებთ და ვმუშაობთ ფართო სახეობის და დიდი მოცულობის სხვადასხვა ტიპის მონაცემებთან. ტექნოლოგიების და დიდი მონაცემების განვითარება საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ ფინანსური რისკების გაგება და მართვა. ჩვენ ვეძებთ მონაცემთა მეცნიერების თანამედროვე მეთოდებითა და ინსტრუმენტებით დაინტერესებულ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც დაგვეხმარებიან ამ მიზნის მიღწევაში.

კონკურსის მიზანია გამოავლინოს ტალანტი, რომელსაც შეუძლია დიდი მოცულობის მონაცემებთან მუშაობა სტატისტიკური, ეკონომეტრიკული და მანქანური სწავლების მეთოდებით.

ჩვენი მონაცემთა ბაზების გამოყენებით, ან/და სხვა გარე მონაცემების გამოყენებით თქვენ შეგეძლებათ გაგვიზიაროთ მიგნება, რომელიც დაგვეხმარება ჩვენი მიზნების მიღწევაში.

ძირითადი სტატისტიკური მონაცემები საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა განთავსებული შემდეგ მისამართზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.

ბანკების ფინანსური მონაცემები:

[წლიური ფინანსური ანგარიშგება](https://www.nbg.gov.ge/index.php?m=674) <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=674>  
[2006-2017\(1Q\) წლების მონაცემები](https://www.nbg.gov.ge/index.php?m=670) <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=670>

ასევე შეგიძლიათ საქსტატის მონაცემები გამოიყენოთ: <http://geostat.ge/>

შესაძლო თემები შეიძლება მოიცავდეს ( თუმცა, შეზღუდული არ არის თემები ):

- ფინანსური ინსტიტუტების მომგებიანობის დამოკიდებულება საბალანსო უწყისის, მოგება-ზარალის უწყისის, მაკრო პარამეტრების მონაცემებზე. საბოლოო შედეგი უნდა იყოს მოდელი, რომელსაც ბანკის მიმდინარე პარამეტრების საფუძველზე მომავალი მომგებიანობის შეფასების საშუალება ჰქონდეს.
- მონაცემთა ვალიდაციის წესები. სტატისტიკური მონაცემების ალგორითმული დამუშავებით მონაცემთა შორის კავშირის დადგენა.

ამ დავალების შესრულებისას კანდიდატს მოუწევს სხვადასხვა ტიპის, წყაროს და ფორმატის მონაცემების ერთად თავმოყრა, წინასწარი დამუშავება, შერჩევა, შესაფერისი მეთოდოლოგიის გამოყენება. ამ ამოცანების გადაწყვეტისას გამოჩნდება რამდენად შეუძლია კანდიდატს თავი გაართვას მონაცემებთან მუშაობის პრობლემას და ფლობს მონაცემების სტატისტიკური დამუშავების და/ან მანქანური სწავლების მეთოდებს.

**რა უნდა გააკეთოთ:**

დავალების შესასრულებლად შესაძლებელია როგორც კლასიკური ეკონომეტრიკისა და მონაცემთა დროითი მწკრივების თეორიის, ასევე მანქანური სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაბიჯებს:

1. მონაცემების შერჩევა და მომზადება
2. ალგორითმის შერჩევა, გამოყენება, შეფასება
3. შედეგების ინტერპრეტაცია

ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს დოკუმენტირებული და ლოგიკურად ახსნილი. საბოლოო მოდელის ხარისხი უნდა შეფასდეს სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალებით, სასურველია მომზადდეს შესაბამისი ვიზუალიზაციები.

გამოაგზავნეთ თქვენი CV და შედეგების PDF 4-5 გვერდის ტექსტური დოკუმენტი, სადაც აღწერთ თქვენს მიგნებებს და მათ აქტუალურობის განხილვას. დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს ცხრილებს, ვიზუალიზაციებს, მაგრამ არ მოათავსოთ მასში პროგრამის კოდი. საკონკურსო ნამუშევრების გამოგზავნა შესაძლებელია 28 იანვრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: [datascience2018@nbg.gov.ge](mailto:datascience2018@nbg.gov.ge)

შეფასებისას, ძირითადი ყურადღება მონაცემებთან მუშობის და ანალიზის უნარებს მიექცევა. გამარჯვებულები გაივლიან 3 - თვიან ანაზღაურებად ( 700 ლარი ყოველთვიურად ) სტაჟირებას საქართველოს ეროვნულ ბანკში.